შეთანხმება

(ქვეკონტრაქტორის №24-32 ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის შესახებ)

ქ.თბილისი 13 ივლისი 2016 წ.

ჩვენ, ერთი მხრივ, **ა(ა)იპ „ეროვნული სკრინინგ-ცენტრი“** (შემდგომში „შემსყიდველი“), წარმოდგენილი მისი დირექტორის რემა ღვამიჩავას სახით და მეორე მხრივ, **კავშირი „ონკოპრევენციის ცენტრი’** (შემდგომში „მიმწოდებელი“), წარმოდგენილი მისი დირექტორის იოსებ აბესაძის სახით, ორივე ერთად წოდებული როგორც მხარეები,

იმდენად, რამდენადაც,

- „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის, და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის“ მე-3 მუხლის „დ“ პუნქტის, „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - ეროვნული სკრინინგ-ცენტრის მიერ სახელმწიფო შესყიდვის გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განხორციელების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 8 იანვრის №17 განკარგულების საფუძველზე, სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრებით მხარეთა შორის 2016 წლის 25 იანვარს გაფორმდა ხელშეკრულება №24-32, რომლის საერთო ღირებულება განისაზღვრა 2728 (ორი ათას შვიდას ოცდარვა) ლარით;
- ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში საჭირო გახდა ხელშეკრულების ღირებულების შემცირება 1647 (ერთი ათას ექვსას ორმოცდა შვიდი) ლარით;

ამდენად, მხარეები ვთანხმდებით შემდეგზე:

- შემცირდეს 2016 წლის 2 იანვრის №24-32 ხელშეკრულების ღირებულება 1647 (ერთი ათას ექვსას ორმოცდა შვიდი) ლარით და საერთო ღირებულებად განისაზღვროს 1081 (ერთი ათას ოთხმოცდაერთი) ლარი.
- მხარეებს ერთმანეთის მიმართ პრეტენზიები არ გააჩნიათ
- შეთანხმება შედგენილია ქართულ ენაზე, ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომლებიც გადაეცათ მხარეებს.

„შემსყიდველი“	„მიმწოდებელი“
ა(ა)იპ „ეროვნული სკრინინგ-ცენტრი“	კავშირი „ონკოპრევენციის ცენტრი’
დირექტორი : /რ.ღვამიჩავა/	დირექტორი: /ი. აბესაძე/